



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 495

2016 წლის 17 მაისი

ქ.ლაგოდეხი

ქ. ლაგოდეხში N1 საბავშვო ბაღში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგისა და ინსპექტირების მიზნით ერთობლივი ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და 2016 წლის 19 აპრილს „სამოქალაქო განვითარების ასოციაციას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „სასწორს“ შორის გაფორმებული ერთობლივი ხელშეკრულების პირველი მუხლის „1.6“ პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1.

ა) შეიქმნას მონიტორინგისა და ინსპექტირების განმახორციელებელი ერთობლივი ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი), იაპონიის საელჩოს პროექტის „N1 საბავშვო ბაღა-ბაღის რეაბილიტაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, ქ.ლაგოდეხში N1 საბავშვო ბაღში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

ბ) ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

კახა მეტრეველი - ჯგუფის ხელმძღვანელი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მთ.სპეციალისტი);

ჯგუფის წევრები:

- ალექსანდრე ასატრიანი - (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი);

- ნოდარ ფერაძე - საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის ლოჯისტიკის სპეციალისტი.


მუხლი 2. ბრძანების ერთი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ გადაეგზავნოს საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციას.

მუხლი 3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს გიორგი მჭედლიძეშვილს.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია